



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართი N26- BOG sCoolApp

1. **BOG sCoolApp** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **BOG sCoolApp** იგი უნდა ფლობდეს **ბანკის Scool Card**.
3. ამასთან, იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **BOG sCoolApp** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
4. **BOG sCoolApp** აპლიკაციის (დასახელებით: **BOG sCoolApp**) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
5. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **BOG sCoolApp** გასააქტიურებლად მან **BOG sCoolApp** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **BOG sCoolApp** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით** დადასტურებით, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე**
6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი BOG sCoolApp** გააქტიურებამდე/ავტორიზებამდე სარგებლობს ფიზიკური პირების **მობილ ბანკით**, ამ უკანასკნელს **BOG sCoolApp** გააქტიურების შემდგომ შეეზღუდება ფიზიკური პირების **მობილ ბანკით** სარგებლობა. აღნიშნული პირობა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **კლიენტი Scool Card** გარდა სარგებლობს **ბანკის სხვა საბანკო პროდუქტებით** ან/და სხვა **ანგარიშით** გარდა **Scool Card** დაკავშირებული **ანგარიშისა**. ამ შემთხვევაში **კლიენტს BOG sCoolApp** მეშვეობით წვდომა ექნება მხოლოდ **Scool Card** **ანგარიშებთან** დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
7. **BOG sCoolApp** დაიშვება მხოლოდ **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზებული კლიენტი**, რომელსაც საშუალება აქვს განახორციელოს შემდეგი **ოპერაციები**:
 - 7.1. ისარგებლოს პას კოდით ან/და თითის ანაბეჭდით **ავტორიზაციით**;
 - 7.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) **ავტორიზაციით**.
 - 7.3. **sCool Card** აქტივაცია.
 - 7.4. მიიღოს ინფორმაცია **sCool Card**-ის ანგარიშის შესახებ.
 - 7.5. ნახოს **sCool Card**-ის **ანგარიშიდან** ამონაწერი.
 - 7.6. გადარიცხვა **ოპერაციის** შესრულება ლარში **მესამე პირთან**, მათ შორის, **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვის **ოპერაცია**, ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ გადარიცხვის **ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვის **ოპერაცია** სრულდება ისეთ **მიმღების** სასარგებლოდ, რომელსაც **კლიენტის** მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 7.7. გადახდის **ოპერაციის** შესრულება **sCool Card**-ის მეშვეობით
 - 7.8. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება **მიმღებისთვის**;
 - 7.9. **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** **საიდენტიფიკაციო მონაცემების** გამოჩენა;
 - 7.10. **მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** შეცვლა/აღდგენა;



- 7.11. PUSH ნოტიფიკაციების ჩართვა/გააქტიურება.
- 7.12. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Apple Pay/Google Pay საგადახდო აპლიკაციაში(ებ)ში დამატება;
- 7.13. მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მობილური მოწყობილობისათვის სანდო მოწყობილობის სტატუსი მინიჭება/გაუქმება
- 7.14. **ანგარიშის** ნომრის გაზიარება,
- 7.15. **ბარათის PIN კოდის** აღდგენა.
- 7.16. **sCool Card-ის** Lifestyle შეთავაზებების დათვალიერება.
- 7.17. გადახდის ქვითრის ან/და **საგადახდო დავალების** ჩამოტვირთვა/გაზიარება.
- 7.18. **BOG sCoolApp** განთავსებული პროფილის ფოტოს შეცვლა/გასაჯაროება/საჯაროობის მოხსნა.
- 7.19. გამორთოს **BOG sCoolApp** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **BOG sCoolApp** აპლიკაციით;
- 7.20. გამორთოს **SMS ბანკი**;
- 7.21. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა/გააუქმოს მოთხოვნა/ჩათვალოს მოთხოვნა მიღებულად.
- 7.22. პროფილის ფოტოს დაყენება.
- 7.23. გაააქტიუროს/შეაჩეროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 8. მხოლოდ პას კოდით **ავტორიზაციის** გასააქტიურებლად, **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული სანდო მოწყობილობის სტატუსი, **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია** და შემდეგ აირჩიოს პას კოდით **ავტორიზაცია**, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის **ძლიერი ავთენტიფიკაციით**. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით **ავტორიზაცია** შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
- 9. **კლიენტს**, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი ან სახის ამომცნობი (face ID), **BOG sCoolApp** **ავტორიზაციისათვის** შეუძლია პასკოდით **ავტორიზაციასთან** ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) **ავტორიზაციის** მეთოდიც. ამისათვის **კლიენტმა** უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) და დაადასტუროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით**.
- 10. **BOG sCoolApp** **ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** ან/და პასკოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **BOG sCoolApp** დაიბლოკება 30 წუთით.
- 11. **ძლიერ ავთენტიფიკაციას** საჭიროებს შემდეგი **ოპერაციები**:
 - 11.1. გადარიცხვა **ოპერაციის** შესრულება ლარში **მესამე პირთან**, მათ შორის, **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვის **ოპერაცია**, ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ გადარიცხვის **ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვის **ოპერაცია** სრულდება ისეთ **მიმღების** სასარგებლოდ, რომელსაც **კლიენტის** მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 11.2. **sCool Card** აქტივაცია;
 - 11.3. გადახდის **ოპერაციის** შესრულება **sCool Card-ის** მეშვეობით;
 - 11.4. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება **მიმღებისთვის**;
 - 11.5. **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემების** გამოჩენა;



- 11.6. მომხმარებლის პაროლის შეცვლა/აღდგენა და მომხმარებლის სახელის აღდგენა;
- 11.7. PUSH ნოტიფიკაციების ჩართვა/გააქტიურება;
- 11.8. ბანკის მიერ განსაზღვრული ბარათ(ებ)ის Apple Pay/Google Pay საგადახდო აპლიკაციაში(ებ)ში დამატება;
- 11.9. მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მობილური მოწყობილობისათვის სანდო მოწყობილობის სტატუსი მინიჭება
- 11.10. ბარათის PIN კოდის აღდგენა.
- 12. იმ შემთხვევაში თუ ავტორიზაციის შემდეგ BOG sCoolApp უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, BOG sCoolApp ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის კლიენტმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია თავიდან.
- 13. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტთან შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ავტორიზაციის ან/და ოპერაციის შესრულების მეთოდი, მათ შორის შეცვალოს იმ ოპერაციების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს ძლიერ ავთენტიფიკაციას. ამასთან, თუ ბანკის სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ძლიერ ავთენტიფიკაციას არ საჭიროებს ისეთი მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელებული გადარიცხვა/გადახდის ოპერაცია, რომლის თანხა არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს და ამასთან კლიენტის მიერ ბოლოს ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულებული გადარიცხვის/გადახდის ოპერაციიდან მიმდინარე გადარიცხვის/გადახდის ოპერაციის თანხის ჩათვლით გადარიცხვის/გადახდის ოპერაციის ჯამური თანხა არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ან კლიენტის მიერ ბოლოს ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულებული გადარიცხვის/გადახდის ოპერაციის შემდგომ კლიენტის მიერ მიმდევრობით შესრულებული გადარიცხვის/გადახდის ოპერაციის რაოდენობა არ აღემატება ხუთს.
- 14. თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეუზღუდოს/გააუქმოს კლიენტს მესამე პირისგან თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურება, როგორც კონკრეტულ მესამე პირთან მიმართებაში, ასევე სრულად მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ: ა) თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მიმღები მესამე პირი მოითხოვს მომსახურების შეზღუდვას/გაუქმებას ან/და; ბ) ბანკის მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთის განმავლობაში კლიენტის მიერ გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა, რომელის საფუძველზე მესამე პირებმა არ განხორციელეს თანხის ჩარიცხვა აღემატება ბანკის მიერ განსაზღვრულ ლიმიტს ან/და; გ) კლიენტი მესამე პირისგან თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურებით სარგებლობს არამიზნობრივად/არაკეთილსინდისიერად.
- 15. კლიენტი აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ მესამე პირისაგან თანხის ჩარიცხვის მოთხოვნისთანავე მესამე პირს მიეწოდება შემდეგი მონაცემები: კლიენტის სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, კლიენტის ანგარიში, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (კლიენტის მიერ მითითების შემთხვევაში). კლიენტი თანახმაა, ასეთი ინფორმაცია ბანკის არაკლიენტ მესამე პირს მიეწოდოს კლიენტის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ მესამე პირი არის ბანკის სხვა კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები მესამე პირს მიეწოდება მის ფინანსურ ნომერზე ან PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, ბანკი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, კლიენტის მიერ მესამე პირის/მისი საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა მესამე პირისთვის.



16. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **კლიენტი/პირი**, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
 - 16.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** გააქტიურებასა და სარგებლობაზე.
 - 16.2. წინასწარ აცხადებს თანხმობას **BOG sCoolApp** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 16.3. ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 16.4. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 16.5. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **BOG sCoolApp** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**, რომელიც შესაძლოა იყოს **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადგენილი **ლიმიტებზე** მცირე.
 - 16.6. წინასწარ აცხადებს თანხმობას, არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **ელექტრონული ყულაბის** გააქტიურების შემთხვევაში, **ფიზიკური პირების მომსახურების საერთო პირობების დანართი 16 ელექტრონული ყულაბის** პირობებზე.
 - 16.7. წინასწარ აცხადებს თანხმობას, **კლიენტისთვის** შეკვეთილი **sCool Card**, **კურიერსერვისის** მომსახურებით ჩაბარების შემთხვევაში, აღნიშნული **sCool Card** ჩაბარდეს კანონიერი წარმომადგენლის მიერ **sCool Card** შეკვეთის განაცხადში მითითებულ **მესამე პირს**.
17. კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** საშუალებით განხორციელებული **გადახდის ოპერაციებზე** ვრცელდება **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრული **ლიმიტები**, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი ეთანხმება ან/და ეცნობება **BOG sCoolApp** გააქტიურებაზე თანხმობის გაცემისას.
18. კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, **კლიენტმა მიიღოს** მონაწილეობა **ბანკის** მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ აქცია(ებ)ში/კამპანია(ებ)ში, მათ შორის **BOG sCoolApp** ან/და **sCool Card** დაკავშირებულ აქცია(ებ)ში/კამპანიაში და **კლიენტმა** მიიღოს **ბანკის** მიერ გადაცემული საჩუქარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
19. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **sCool Card** გაუქმება შედეგად ვეღარ შეძლებს **BOG sCoolApp** სარგებლობას.